

სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო“

შიდა აუდიტორული ანგარიში  
(01.01.2016-01.08.2016)

ბათუმი, 2016 წელი

## ს ა რ ჩ ე ვ ი:

1. შესავალი - გვ. 3
2. შემოკლებანი - გვ. 4
3. ზოგადი ინფორმაცია აუდიტის ობიექტის შესახებ - გვ. 5
4. აუდიტის შედეგები - გვ. 7
5. წინა აუდიტორული ანგარიშის (18.03.2016) საფუძველზე გაცემული რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობა - გვ.12
6. შიდა აუდიტის ობიექტის მოსაზრება - გვ. 12

## 1. შესავალი

**აუდიტის ჩატარების საფუძველი** - სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს“ შიდა აუდიტის სამსახურის 2016 წლის წლიური გეგმა (შეთანხმებულია მრჩეველთა საბჭოსთან 2016 წლის 6 მაისის №01-01/07 გადაწყვეტილებით).

**შიდა აუდიტის სუბიექტი** - სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიოს“ შიდა აუდიტის სამსახური.

**შიდა აუდიტის ობიექტი** - სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს“ იურიდიული მხარდაჭერის სამსახური.

**შიდა აუდიტორული შემოწმების სახე** - შესაბამისობის აუდიტი.

**აუდიტის პერიოდი** - 2016 წლის 01 იანვრიდან 2016 წლის 01 აგვისტომდე.

**აუდიტის ჩატარების ვადა** - 2016 წლის 1 ივლისიდან 2016 წლის 1 ოქტომბრამდე (დაწყება – დასრულება).

### აუდიტორული შემოწმების ინდივიდუალური გეგმა

- სამსახურის დებულებით განსაზღვრული ფუნქცია-ამოცანების შესწავლა/ანალიზი;
- აუდიტის ობიექტის მიერ წინა პერიოდის (18.03.2016) შემოწმების შედეგად გამოვლენილი დარღვევა- ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად განხორციელებული ღონისძიებები.

## 2. შემოკლებანი:

მაუწყებელი

სსიპ - „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის  
ტელევიზია და რადიო“

დირექტორი

სსიპ - „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის  
ტელევიზია და რადიო“-ს დირექტორი

შიდა აუდიტის სუბიექტი

შიდა აუდიტის სამსახური

შიდა აუდიტის ობიექტი

სსიპ - „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის  
ტელევიზიისა და რადიოს“ იურიდიული  
მხარდაჭერის სამსახური

სამსახური

სსიპ - „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის  
ტელევიზიისა და რადიოს“ იურიდიული  
მხარდაჭერის სამსახური

### 3. ზოგადი ინფორმაცია აუდიტის ობიექტის შესახებ

იურიდიული მხარდაჭერის სამსახურის დებულება მაუწყებლის დირექტორის მიერ დამტკიცებულია 2016 წლის 01 მარტს N 02-03/08 ბრძანებით, რომლის თანახმადაც იურიდიული მხარდაჭერის სამსახური წარმოადგენს მაუწყებლის სტრუქტურულ ერთეულს და ანგარიშვალდებულია მაუწყებლის დირექტორის წინაშე. დებულების თანახმად სამსახურის ძირითადი საქმიანობის სფეროა:

- სიტყვისა და აზრის თავისუფლების, სამართლიანობისა და მიუკერძოებლობის პრინციპების შესაბამისად, მაუწყებლისათვის საქართველოს კანონმდებლობით მინიჭებულ უფლებამოსილებათა განხორციელებაში ხელშეწყობა;
- სამართალშემოქმედებითი საქმიანობა, შესაბამისი ნორმატიული ან/და ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტების პროექტების მომზადება, მაუწყებლის საქმიანობაში სამართლებრივი რეკომენდაციების შემუშავება;
- სამართლებრივ დავებზე მაუწყებლის წარმომადგენლობის უზრუნველყოფა;
- მაუწყებლის სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულებისათვის სამართლებრივი დახმარების აღმოჩენის უზრუნველყოფა;
- სხვადასხვა სახელმწიფო და არასახელმწიფო დაწესებულებების/ორგანიზაციების, იურიდიული პირების, აგრეთვე მოქალაქეთა განცხადებებისა და წერილების დადგენილი წესით განხილვა და მათზე რეაგირება;
- საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;
- მაუწყებლის სახელით დასადები ხელშეკრულებების, მემორანდუმების, შეთანხმებების პროექტების მომზადება, მათ შესრულებაზე კონტროლის განხორციელება;
- სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით ელექტრონული ტენდერებისა და გამარტივებული შესყიდვების განხორციელება; სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებების შესრულების მონიტორინგი;
- მაუწყებელში საჯარო-სამართლებრივი და შრომითი ურთიერთობების განხორციელებისას ადამიანისა და მოქალაქის უფლებების, თავისუფლებისა და ღირსების პატივისცემის პრინციპების უზრუნველყოფა;
- მაუწყებლის ინტერესებიდან გამომდინარე, საქმიანობის პროცესში მაუწყებლის თანამშრომელთა სამართლებრივი დაცვა;
- საქმისწარმოების წესების შესაბამისად ოფიციალური კორესპონდენციის დამუშავებისა და მოძრაობის უზრუნველყოფა.

#### 4. აუდიტის შედეგები

- ✓ სამსახურის დებულების 6.1.2 პუნქტის თანახმად სამსახური უფლებამოსილია მოამზადოს ნორმატიული შინაარსის სამართლებრივი აქტები, რაც სცილდება მის უფლებამოსილებას, აგრეთვე დებულების მე-8 მუხლის თანახმად სამსახური ვალდებულია პერიოდულად წარუდგინოს დირექტორს გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში, თუმცა დებულებით არ არის დარეგულირებული ანგარიშის წარდგენის კონკრეტული ვადები და ფორმა. შესაბამისად დაბუღების აღნიშნული პუნქტები საჭიროებს დაზუსტებას.
- ✓ მაუწყებლის მიერ არ არის დარეგულირებული შესაბამისი სამართლებრივი აქტით ელექტრონული და მატერიალური დოკუმენტბრუნვის წესი, სტრუქტურული ერთეულების პასუხისმგებლობა და უფლებამოსილება.
- ✓ მაუწყებლის დირექტორის 2015 წლის 20 ნოემბრის N02/03-05 ბრძანებით, (ბრძანება ეხება „სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოში ორგანიზაციულ ცვლილებს - სტრუქტურული რეორგანიზაციას) დამტკიცებული სარეორგანიზაციო ღონისძიებები და მისი ჩატარების ვადები, რომელიც უფლებამოსილი პირების მიერ დარღვეულია, ხოლო ცალკეული საკითხები არ არის შესრულებული.
- ✓ მაუწყებლის დებულების 3.18 პუნქტი, რომლითაც განსაზღვრულია, რომ სტრუქტურული ერთეულების დებულებებს ამტკიცებს დირექტორი ბრძანებით. არ მოდის თანხმობაში „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 35<sup>9</sup>-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის ნორმატიულ შინაარსთან.
- ✓ მივლინებასთან დაკავშირებული ბრძანებების ანალიზით დგინდება, რომ ცალკეულ შემთხვევებში ადგილი აქვს მაუწყებელში დასაქმებული პირების უფლება-მოვალეობათა გადაფარვას.
- ✓ 2016 წლის 01 მარტამდე მოქმედი მაუწყებლის სტრუქტურული ერთეულები მუშაობდნენ დებულების გარეშე, რომლითაც განსაზღვრული უნდა ყოფილიყო თითოეული სტრუქტურული ერთეულის საქმიანობის სფერო და ფუნქცია-მოვალეობები. სამსახურის დებულება მნიშვნელოვანი დოკუმენტია, რომლის არარსებობაც გაართულებს მაუწყებლის სტრუქტურული ერთეულების საქმიანობის ეფექტიანობის დადგენას.
- ✓ დისციპლინური წარმოება შესაძლო დარღვევაზე არ განხორციელდა შინაგანაწესით დადგენილ ვადებში, რაც შიდა კონტროლის სისუსტეზე მიუთითებს.

- ✓ რეკლამისათვის სტატუსი - „სოციალური რეკლამა“ მინიჭება ხდება, არაკომისური წესით წინასწარ დადგენილი კრიტერიუმებისა და პროცედურების გარეშე, რაც შიდა კონტროლის სისუსტეზე მიუთითებს.

#### 4.1 ძირითადი ტექსტი

მაუწყებლის იურიდიული მხარდაჭერის სამსახურის უფლებამოსილებას დებულების თანახმად <sup>1</sup> წარმოადგენს ნორმატიული სამართლებრივი აქტების პროექტების მომზადება, რაც სცილდება მის კომპეტენციას, ვინაიდან მაუწყებლის ხელმძღვანელი ორგანოები მსგავსი შინაარსის სამართლებრივი აქტების გამოცემის უფლებამოსილება არ გააჩნიათ. შესაბამისად სამსახური ხსენებული ნორმით მინიჭებული უფლებამოსილების რეალიზებას ვერ განახორციელებს. შესაბამისად შიდა აუდიტის სუბიექტის მოსაზრებით აღნიშნული ნორმა დებულებიდან ამოღებული უნდა იქნეს.

სამსახურის ერთ-ერთ ფუნქციას წარმოადგენს საქმისწარმოების წესების შესაბამისად ოფიციალური კორესპონდენციის დამუშავებისა და მოძრაობის უზრუნველყოფა, რომელსაც ახორციელებს საქმისწარმოების განყოფილება. 2016 წლის 01 იანვრიდან 01 აგვისტომდე მაუწყებელში შემოსული კორესპონდენციების რაოდენობა შეადგენს 326 ერთეულს, ხოლო გასული კორესპონდენციების რაოდენობა 343-ს.

მაუწყებელში 2016 წლის 01 იანვრიდან საქმისწარმოება ხორციელდება ელექტრონული საქმისწარმოების ავტომატიზირებული სისტემის გამოყენების საშუალებით. აღნიშნული სისტემის ფუნქციონირებისათვის მაუწყებელი ყოველთვიურად იხდის 266,67 ლარს.<sup>2</sup> მაუწყებლის მიერ არ არის დარეგულირებული შესაბამისი სამართლებრივი აქტით ელექტრონული და მატერიალური დოკუმენტბრუნვის წესი, სტრუქტურული ერთეულების პასუხისმგებლობა და უფლებამოსილება.

სამსახური დებულების<sup>3</sup> თანახმად ვალდებულია პერიოდულად წარუდგინოს ანგარიში მაუწყებლის დირექტორს სამსახურის მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ. სააუდიტო პერიოდში სამსახურს აღნიშნული ანგარიში დირექტორისთვის არ წარუდგენია.

ვინაიდან ზუსტად არ არის დადგენილი რა პერიოდულობით და რა ფორმით (წერილობითი/ზეპირი) უნდა იქნეს წარდგენილი აღნიშნული ანგარიში. მიზანშეწონილია დარეგულირდეს სამსახურის აღნიშნული ვალდებულება ისე, რომ ზუსტად განისაზღვროს ანგარიშის წარდგენის დრო, ფორმა და სამსახურის პასუხისმგებლობა.

მაუწყებლის დირექტორის მიერ 2015 წლის 20 ნოემბრს გამოიცა N02/03-05 ბრძანება „სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოში ორგანიზაციული ცვლილების (სტრუქტურული რეორგანიზაციის) შესახებ“ აღნიშნული ბრძანებით განისაზღვრა, რომ „სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიის და რადიოსათვის კანონით დაწესებული

<sup>1</sup> „იურიდიული მხარდაჭერის სამსახურის“ დებულების მე-6 მუხლის 6.1.2 პუნქტი.

<sup>2</sup> „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება“ N192 31.12.2015 წ.

<sup>3</sup> „იურიდიული მხარდაჭერის სამსახურის“ დებულების მე-8 მუხლი.

ვალდებულების უკეთესად განხორციელების მიზნით, აუცილებელია სტრუქტურული ერთეულების გამართული ფუნქციონირებისა და დასაქმებული ადამიანების შრომის ეფექტიანობის გაზრდა, ამდენად 2016 წლის 1 თებერვლამდე უნდა განხორციელდეს სტრუქტურული რეორგანიზაცია, გაუქმდეს არსებული საშტატო განრიგი და ამოქმედდეს ახალი.“

ამასთან რეორგანიზაციის შესახებ ბრძანებით განისაზღვრა სარეორგანიზაციო ღონისძიებები და მისი ჩატარების ვადა, კერძოდ ბრძანებით დადგინდა:

1. . სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიასა და რადიოში რეორგანიზაცია უნდა დასრულდეს 2016 წლის 01 თებერვლამდე.

2. რეორგანიზაციის პროცესში ტარდება შემდეგი ღონისძიებები (სამოქმედო გეგმა):

ა) ახალი სტრუქტურული ერთეულის ჩამოყალიბება და ფუნქციების განსაზღვრა, რომელიც უნდა დასრულდეს 2016 წლის 01 თებერვლამდე;

ბ) დებულებაში შესატანი ცვლილებების პროექტის მომზადება და სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიასა და რადიოს მრჩეველთა საბჭოსათვის წარდგენა უნდა განხორციელდეს არაუგვიანეს 2015 წლის 20 დეკემბრამდე;

ბ<sup>1</sup>) დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების პროექტის დამტკიცებიდან (ძალაში შესვლიდან) ათი სამუშაო დღის ვადაში (არაუგვიანეს 2016 წლის 04 იანვრისა) სტრუქტურული ერთეულების დებულების პროექტების წარდგენა დირექტორისთვის;

ბ<sup>2</sup>) დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების პროექტის დამტკიცებიდან (ძალაში შესვლიდან) 15 სამუშაო დღის ვადაში (არაუგვიანეს 2016 წლის 12 იანვრისა) საშტატო განრიგით გათვალისწინებული თანამდებობებზე - თანამდებობრივი ინსტრუქციების (უფლება-მოვალეობების) პროექტის წარდგენა დირექტორისთვის;

გ) თანამშრომელთა გაფრთხილება, მოსალოდნელი გათავისუფლების შესახებ - 2016 წლის 01 იანვრამდე; გათავისუფლება, კომპენსაციის გაცემა, დანიშვნა, გადაყვანა და საჭიროების შემთხვევაში საკონკურსო პოზიციების განსაზღვრა - 2016 წლის 01 თებერვლამდე;

დ) სტრუქტურის შესახებ დეტალური ინფორმაციის მიწოდება იმ დასაქმებულებისათვის, რომელთაც სავარაუდოდ შეეცვალებათ როლი ან დაემატებათ ფუნქცია, უნდა განხორციელდეს არაუგვიანეს 2016 წლის 12 იანვრისა;

ე) სტრუქტურის გენერალური პრეზენტაცია უნდა განხორციელდეს 2016 წლის 15 იანვრამდე;

ვ) კოლეგიური ორგანოების/საბჭოების სამუშაო კალენდარის შედგენა და მდივნის განსაზღვრა, უნდა განხორციელდეს 2016 წლის 25 იანვრამდე.

აუდიტორული შემოწმებით დადგინდა, რომ სამოქმედო გეგმით განსაზღვრული ღონისძიებებიდან დადგენილ ვადაში არ შესრულებულა „ა“ „ბ<sup>1</sup>“ , „ბ<sup>2</sup>“ „ე“ და „ვ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული



ღონისძიებები, კერძოდ ახალი სტრუქტურული ერთეულის ჩამოყალიბება და ფუნქციების განსაზღვრა და სტრუქტურული ერთეულების დებულების პროექტების წარდგენა დირექტორისთვის რომელიც უნდა დასრულებულიყო 2016 წლის 01 თებერვლამდე დასრულდა 2016 წლის 01 მარტს. სააუდიტო პერიოდში დამტკიცებულია, მხოლოდ მომიტორინგის/ხარისხის კონტროლის სამსახურის, სატელევიზიო მაუწყებლობის განვითარების სამსახურის, რადიო და ინტერნეტმაუწყებლობის სამსახურის, საკადრო ბაზის განვითარების სამსახურის, იურიდიული მხარდაჭერის სამსახურის, ფინანსური ეფექტიანობის სამსახურის და შიდა აუდიტის სამსახურის დებულებები. მაუწყებლის დანარჩენი სტრუქტურული ერთეულები მუშაობენ დებულების (სტრუქტურა, ფუნქცია-მოვალეობები, მუშაობის ზოგადი პრინციპები) გარეშე, რაც ამცირებს მაუწყებლის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების (სამსახურების) მუშაობის ეფექტიანობას.

აღნიშნული გარემოება პასუხისმგებელი პირების მიერ დაკისრებული მოვალეობების არასათანადოდ შესრულებაზე მიუთითებს.

მაუწყებლის დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების პროექტის დამტკიცებიდან (მალაში შესვლიდან) 15 სამუშაო დღის ვადაში (არაუგვიანეს 2016 წლის 12 იანვრისა) საშტატო განრიგით გათვალისწინებული თანამდებობებზე - თანამდებობრივი ინსტრუქციების (უფლება-მოვალეობების) პროექტის წარდგენა დირექტორისთვის არ განხორციელებულა. აღნიშნული საკითხების მოწესრიგება განხორციელდა შრომითი ხელშეკრულებებით, ხოლო კოლეგიური ორგანოების/საბჭოების სამუშაო კალენდარის შედგენა და მდივნის განსაზღვრა, ნაცვლად 2016 წლის 24 იანვრისა შესრულდა 2016 წლის 23 თებერვალს.

აღნიშნული გარემოებები შიდა კონტროლის სისუსტეზე მიუთითებს.

მაუწყებლის იურიდიულ მხარდაჭერის სამსახურის მიერ 2016 წლის 02 აგვისტოს წარმოდგენილი N02-26 კორესპონდენციით დგინდება, რომ 2016 წლის 01 მარტამდე არსებულ მაუწყებლის შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს არ გააჩნდათ დებულებები, რომლითაც განსაზღვრული უნდა ყოფილიყო თითოეული სტრუქტურული ერთეულის საქმიანობის სფერო და ფუნქცია-მოვალეობები. სამსახურის დებულების შექმნა რამდენიმე მიზანს ემსახურება მათ შორის: ა) თანამშრომლებს აძლევს მიმართულებას მუშაობაში; ბ) ახდენს პასუხისმგებლობის გადანაწილებას გ) ხელს უწყობს სამსახურის გუნდურ მართვას. შესაბამისად სამსახურის მუშაობის ეფექტიანობის შესაფასებლად მნიშვნელოვანია დებულების შექმნა, ხოლო მისი არასებობის პირობებში რთულია განისაზღვოს 2016 წლის 01 მარტამდე მოქმედი სტრუქტურული ერთეულები რამდენად ასრულებდნენ დაკისრებულ მოვალეობებს.

მაუწყებლის დირექტორის წარდგენის საფუძველზე მრჩეველთა საბჭომ 2015 წლის 27 ნოემბერს ცვლილებები შეიტანა მაუწყებლის დებულებაში,<sup>4</sup> რომლის საფუძველზეც მაუწყებელში შეიქმნა ახალი სტრუქტურული ერთეულები და კოლეგიური ორგანოები. ამასთან აღნიშნული ცვლილებით დადგინდა, რომ (3.18 პუნქტი) სტრუქტურული ერთეულების და კოლეგიური ორგანოების მიზნები,

<sup>4</sup> მრჩეველთა საბჭოს გადაწყვეტილება N15 (ოქმიN12) 27.11.2015 წ.

ამოცანები ფუნქციები და განსახილველი საკითხები განისაზღვრება მათი დებულებების შესაბამისად, რომელსაც ბრძანებით ამტკიცებს დირექტორი.

„მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 35<sup>9</sup>-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად - მრჩეველთა საბჭო, დირექტორის წარდგინებით, სრული შემადგენლობის არანაკლებ ორი მესამედით იღებს საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს დებულებას, რომელიც უნდა ითვალისწინებდეს შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების რედაქციული დამოუკიდებლობის უზრუნველყოფას; უფლებამოსილია, საკუთარი ინიციატივით ან დირექტორის წინადადებით, ცვლილებები შეიტანოს დებულებაში.

მაშინ, როდესაც მოცემულ შემთხვევაში მაუწყებლის დებულება არ არეგულირებს შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების უფლებამოსილების ფარგლებს, ფუნქციებს და მათი მუშაობის ზოგად პრინციპებს, აუდიტის სუბიექტის მოსაზრებით მაუწყებლის დებულების 3.18 პუნქტი არ მოდის თანხმობაში „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 35<sup>9</sup>-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის ნორმატიულ შინაარსთან, ვინაიდან ხსენებული საკითხების (შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების უფლება-მოვალეობები) მარეგულირებელი ნორმების (ძირითადი პრინციპები) არსებობა აუცილებელია დებულებაში, რის საფუძველზეც შემდგომში შესაძლებელი იქნება დაკონკრეტდეს ცალკეული საკითხები დირექტორის ბრძანებით.

მაუწყებელს შრომითი ხელშეკრულებით<sup>5</sup> საკორესპონდენტო პუნქტებში (ქედა, შუახევი, ხულო, ქობულეთი, თბილისი და ქუთაისი) დასაქმებული ყავს რეპორტიორები და ოპერატორები, რომლებიც უზრუნველყოფილი არიან ავტო-სატრანსპორტო საშუალებებით. რეპორტიორების შრომითი მოვალეობაში შედის (შესასრულებელი სამუშაო): ა). თემების გამოვლენა, ანალიზი, მათი შერჩევა და რედაქტორებს მხარდაჭერა; ბ). საჭიროების შემთხვევაში თითოეულ თემაზე სრული ინფორმაციის მოძიება; გ). ექსკლუზიური თემების მოძიება; დ). გადაღების დაგეგმვა პროდიუსერებთან/რედაქტორებთან ერთად; ე). გადაღებაზე გასვლამდე წინასწარ განსაზღვრა: რა იქნება მთავარი ამბავი თავის რეპორტაჟში, რა იქნება მთავარი კითხვა, ვინ იქნება რესპონდენტი, რა კადრებს გადაიღებს, სად დ როგორ ჩაწერს stand up-ს (ეს ყველაფერი დაიგეგმოს ოპერატორთან ერთად); ვ). საკადრო და სარეპორტაჟო ტექსტის მომზადება; ზ). პირდაპირი ჩართვისთვის მომზადება; თ). დროულად აცნობოს პროდიუსერს/რედაქტორს გადაღებასთან დაკავშირებული ცვლილებების შესახებ; ი). შესაძლებლობის შემთხვევაში მონაწილეობას ღებულობს პროდიუსერის/რედაქტორის მიერ დაგეგმილ თათბირებში; კ). შეასრულოს საინფორმაციო სამსახურის უფროსის, რედაქტორის და პროდიუსერის სამსახურებრივი მითითებები.

სააუდიტო პერიოდში ადგილი აქვს, ცალკეული საკორესპონდენტო პუნქტებში (შუახევი, ხულო) ქ.ბათუმიდან მაუწყებელში დასაქმებული რეპორტიორების, ოპერატორ-მემონტაჟეების, მძღოლების მივლინების ფაქტს,<sup>6</sup> ისეთი საკითხების გაშუქების მიზნით, რომელიც შედის საკორესპონდენტო პუნქტებში დასაქმებული პირების პირდაპირ მოვალეობაში. მივლინების ბრძანება არ შეიცავს

<sup>5</sup> „შრომითი ხელშეკრულება N02-15/95 15.01.2016, N 02-15/99 01.2016, N02-15/01 31.12.2015 წ.

<sup>6</sup> ბრძანება N02-07/90, N02-07/55, N02-07/46, N 02-07/20 და 02-07/10

დასაბუთებას თუ რა ობიექტური გარემოებით იქნა განპირობებული ბათუმიდან საკორესპონდენტო პუნქტების სამოქმედო ტერიტორიაზე თანამშრომლების მივლინება და რატომ ვერ შეძლებდნენ მოცემულ შემთხვევაში საკორესპონდენტო პუნქტებში დასაქმებული პირები სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებას.

აღნიშნული გარემოება მაუწყებელში დასაქმებული პირების უფლება-მოვალეობათა გადაფარვაზე მიუთითებს.

მაუწყებლის მრჩეველთა საბჭოს 2016 წლის 18 იანვარის კორესპონდენციის<sup>7</sup> (კორესპონდენცია ეხებოდა მოძრავი სატელევიზო სადგურის პროგრამული დაზიანების ფაქტის უტყუარობის დადასტურებას) საფუძველზე იურიდიული მხარდაჭერის სამსახურის მიერ კომპიუტერული ექსპერტიზის დანიშვნის მოთხოვნა გაიგზავნა სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიურო“-ში. <sup>8</sup> მაშინ როდესაც შესაძლო სამსახურებრივი გადაცდომის გამოკვლევის მიზნით მაუწყებელში არ იქნა დაწყებული დისციპლინური წარმოება ექსპერტიზის ჩატარების მოთხოვნა სამართლებრივ საფუძველს მოკლებულია.

საკადრო ბაზის განვითარების სამსახურის 2016 წლის 20 აპრილის N02-26/594 კორესპონდენციის (რომელიც შეიცავდა ინფორმაციას დასაქმებულის მხრიდან შრომის ხელშეკრულების შესაძლო დარღვევაზე ინფორმაციას) საფუძველზე<sup>9</sup> იურიდიული მხარდაჭერის სამსახურის მიერ რეაგირება განხორციელდა 2016 წლის 20 ივლისს. რაც არ მოდის თანხმობაში მაუწყებლის შრომის შინაგანაწესის მე-15 მუხლის 15.6. პუნქტთან<sup>10</sup>, რომლის თანახმადაც საკითხზე გადაწყვეტილება უნდა მიღებულიყო შრომის დისციპლინის შესაძლო დარღვევის გამოვლენიდან ერთი თვის ვადაში. აღნიშნული გარემოება შიდა კონტროლის სისუსტეზე მიუთითებს.

მაუწყებელში არ არსებობს რეკლამისათვის სტატუსი - „სოციალური რეკლამა“<sup>11</sup> მინიჭების წესი, აღნიშნული სამართალწარმოება ხორციელდება დამკვიდრებული პრაქტიკის საფუძველზე, რომლის თანახმად რეკლამას - „სოციალური რეკლამი“-ს სტატუსი ენიჭება სატელევიზო მაუწყებლობის განვითარების სამსახურის გაყიდვებისა და დონორების მოზიდვის მენეჯერის მოხსენებითი ბარათის საფუძველზე. მაუწყებელში არსებული სამართალწარმოებით ვერ დგინდება თუ რა კრიტერიუმების საფუძველზე ხდება მაუწყებლისთვის მიწოდებული მასალისთვის სოციალური რეკლამის (ან/და

<sup>7</sup> კორესპონდენცია N02-19/58 18.01.2016

<sup>8</sup> ექსპერტიზა ვერ ჩატარდა და ექსპერტიზა დაბრუნდა უკან შესაბამისი კვალიფიკაციის ექსპერტის არ არსებობის გამო (კორესპონდენცია N02-22/01/115).

<sup>9</sup> წერილი რეაგირებისათვის იურიდიული მხარდაჭერის სამსახურს დაეწერა 2016 წლის 21 აპრილს.

<sup>10</sup> შრომის შინაგანაწესის 15.6. პუნქტი - შრომის დისციპლინის დარღვევისას დასაქმებულის მიმართ დისციპლინური სანქციის გამოყენების საფუძველია დასაქმებულის წერილობითი ახსნა-განმარტება ან მისი უშუალო ხელმძღვანელის მოხსენებითი ბარათი. დისციპლინურ სანქციას დასაქმებულს შეუფარდება დირექტორი შესაბამისი ბრძანებით. დისციპლინური სანქცია დასაქმებულს უნდა შეეფარდოს არა უგვიანეს 1 თვისა მის მიერ შრომის დისციპლინის დარღვევის გამოვლენის დღიდან.

<sup>11</sup> სოციალური რეკლამა – საზოგადოებრივი სიკეთის ხელშეწყობისკენ, საქველმოქმედო მიზნების მიღწევისკენ, მნიშვნელოვან საზოგადოებრივ საკითხებზე საზოგადოების ცნობიერების ამაღლებისკენ ან/და საზოგადოების ქცევის პოზიტიური თვალსაზრისით შეცვლის ხელშეწყობისკენ მიმართული რეკლამა, რომელიც არ არის არც კომერციული და არც წინასაარჩევნო რეკლამა და არ შეიცავს სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს, კერძო ან საჯარო სამართლის იურიდიული პირის მიერ გაწეული მომსახურების რეკლამას;

შეიცავს თუ არა ეს მასალა საზოგადოებისათვის მნიშვნელოვან ინფორმაციას) სტატუსის მინიჭება. აუდიტის სუბიექტის მოსაზრებით მაუწყებელმა უნდა დაადგინოს შესაბამისი კრიტერიუმები და შეფასების წესი, რომლის საფუძველზეც მაუწყებელში კომისიური წესით უნდა განხორციელდეს საკითხზე გადაწყვეტილების მიღება.

### **რეკომენდაციები:**

1. დაზუსტდეს სამსახურის დებულების 6.1.2 და 8.2 პუნქტები
2. შესაბამისი სამართლებრივი აქტით დარეგულირებული იქნას მაუწყებელში ელექტრონული და მატერიალური დოკუმენტბრუნვის წესი, სტრუქტურული ერთეულების პასუხისმგებლობა და უფლებამოსილება.
3. ცვლილებები შევიდეს მაუწყებლის დებულებაში და განისაზღვროს სტრუქტურული ერთეულების ამოცანები, უფლება-მოვალეობები და საქმიანობის ზოგადი პრინციპები.
4. საკორესპოდენტო პუნქტების სამოქმედო ტერიტორიაზე ქ.ბათუმიდან მაუწყებლის თანამშრომელთა მივლინების დროს დასაბუთდეს ბრძანების გამოცემის აუცილებლობა.
5. შეიქმნას მაუწყებელში სოცალური რეკლამის სტატუსის მინიჭების პროცედურული წესი და დადგინდეს შეფასების კრიტერიუმები.

### **შიდა აუდიტის სამსახურის მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობა**

მაუწყებლის შიდა აუდიტის სამსახურის მიერ 2016 წლის 18 მარტს შედგენილი იქნა შიდა აუდიტორული ანგარიში,<sup>12</sup> რომელიც ფინანსური აუდიტის გარდა მოიცავდა აუდიტის ობიექტის საქმიანობებისა და ოპერაციების შესაბამისობის დადგენას საკანონმდებლო ნორმებთან. აღნიშნული აუდიტორული შემოწმების შედეგად მაუწყებლის იურიდიული მხარდაჭერის სამსახურს/შესყიდვების განყოფილებას მიეცა რეკომენდაციები. რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია წინამდებარე აუდიტორულ ანგარიშს თან ერთვის.

### **შიდა აუდიტის ობიექტის მოსაზრება**

არ იქნა წარმოდგენილი

შიდა აუდიტის სამსახურის უფროსი

ზვიად ბერიძე  
27.09.2016

<sup>12</sup> - აუდიტის სახე - შესაბამისობის/ფინანსური